ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 18 (20354) — კვირა, 15 იანვარი, 1989 წელი — ფასი 3 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ

გამოხმაურება

⊙ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი უართოდ ეხმაურებიან მშრომელები, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა.

პირველი გვ.

პედაგოგის საპატიო წოდება

⊙ ამზადებს თუ არა მასწავლებელი ჩვენს ახალგაზრდობას სამერმისოდ?

ეროვნული სკოლის კონცეფცია, რომელიც ამჟამად რესპუბლიკაში მუშავდება, ემყარება მოზარდი თაობის აღზდას უწინარეს ყოვლისა იმ სულიერი ღირებულებებით, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა და ინახავდა ხალხი. ხოლო ენა ის რეალობაა, რომლითაც გამოიხატება ხალხის ცნობიერება, მისი ხასიათი, სული და შემოქმედება.

პირველი და მე-2 გვ.

რა ჯდება მეტროპოლიტენით მგზავრობა?

⊙ რატომ არის ნამგზავი ტრანსპორტი, რომელსაც მგზავრი არ აკლია და ყოველთვის გადატვირთულია?

მე-2 გვ.

ᲣᲪᲮᲝᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲘᲜᲐᲡᲬᲘᲚᲘᲗᲔᲑᲐ

⊙ რესპუბლიკის მთავრობის დავალებით დაინტერესებული უწყებები სწავლობენ საკითხს მცხეთიდან, ჯვრის მონასტრის ძირში გაშლილი სამხედრო ნაწილის გადაადგილების შესახებ...

მე-3 გვ.

კონტაქტები

⊙ „ერთი მსახიობის თეატრის“ ისრაელში გასტროლების შთაბეჭდილებები.

მე-4 გვ.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ, ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲮᲝᲠᲪᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲚᲐᲓ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, შეჯამებულია გარდაქმნის პირველი წლების შედეგები და განსაზღვრულია პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმა მთელი თავისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებით.

ამიტომ, ბუნებრივია, მიმართვას ფართოდ ეხმაურებიან მშრომელები, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა.

რედაქციაში გამოგზავნილ მათს წერილებში ნათლად ჩანს პარტიისადმი მხარდაჭერა, გარდაქმნის საქმის განხორციელებისათვის თავდადება და მზადყოფნა.

ᲨᲔᲗᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გულდასმით წაგიკითხე პრესაში გამოქვეყნებული სკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიის, საბჭოთა ხალხს. მასში გამოთქმული მოსაზრებები და დებულებები კარგად განსაზღვრავენ ჩვენი საშომავლო ცხოვრების ძირითად ამოცანებს. დღეს მთელი ჩვენი ხალხი ჩაბმულია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ მის განსამტკიცებლად. როგორც მიმართვაშია აღნიშნული, ხალხი ელოდება შეიძინოს მაღალი ხარისხის სამრეწველო პროდუქცია. ეს ამოცანა პარტიამ დააყენა და ყველაფერს აკეთებს მის უზრუნველსაყოფად. კარგი შედეგები უნდა მოგვცეს მსუბუქი მრეწველობის მოდერნიზაციამ. პარტია დიდად ზრუნავს ხალხის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ყველა იმ ხიბლის დამკვიდრებისათვის, რაც ჩვენს საზოგადოებას სიკეთეს მოუტანს. ამისათვის კი საჭიროა მუყაითი, თავდადებული შრომა, ეს კი უპირველესად კაცს დაატყობს ჩვენს საკუთარ ოჯახებს, გვეჭნება უკეთესი მერმისი და ნამდვილი კეთილდღეობა.

გარდაქმნა უკვე ჩამოყალიბდა როგორც საერთო-სახალხო მოძრაობა, მას ვერავინ ვერ შეაჩერებს. ცხოვრების ამ აქტიურ პროცესში მუშათა კლასს განსაკუთრებული მისია აკისრია. ჩვენი მთელი აზრი, ფიქრი უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ ყველა კონკრეტულ საშუშაო უბანზე იყოს წესრიგი, ულალატობა, საჭირო სხვებსაც მოკეკუნოდნი აქოკენ და ცხოვრების ყველა სფეროში ვაჭიალოთ უდარდელები, უპასუხისმგებლონი, რომლებიც ხელს უშლიან გარდაქმნას, ცდილობენ თავიანთი უნაბათობით ჩრდილი მიაყენონ ყოველივე სახიკეთო ცვლილებას.

თბილისის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხანა ძველი რევოლუციური ტრადიციების მქონე საწარმოა, იგი წარმებებით შეიარაღებორცებს ყოველივე იმას, რაც კარგია, რაც ჩვენს ყოფას გაალამაზებს.

ახლი ქარხნის მთელი კოლექტივი გარდაქმნის სულისკვეთებით საქმიანობს. შარშან კოლექტივმა მუყაითად იშრომა, მომხმარებელს გვიმას ვიდმეტენი 200 ათასი მანეთის პროდუქცია მიიწოდა, 100 პროცენტით შესრულა მიწოდების ხელშეკრულებები და 3,4 პროცენტით გაზარდა სახალხო-ფლ პროდუქციის წარმოება, ხოლო საგეგმიზე 59 ათასი მანეთით მეტი მოგება მივიღეთ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საწარმოს მუშა-მოსამსახურთა საშუალო გამოუშავება 30 პროცენტით გაიზარდა. საწარმოში განსაკუთრებული ყურადღება დგებოდა ეროვნულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას, შეკეთილნი ახალი მოწყობილობები, თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარები. 400 ათასი მანეთის მოძველებული ჩარხები ახლით შეიცვალა. ასეთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები იმის საუბრელად იძლევა, რომ წლევანდელი წელი უკეთესი შედეგებით დავამთავროთ.

ასეთი იმედებით, ვეგმებით ვხვდებით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებს.

ᲑᲘᲫᲘ ᲑᲐᲙᲘᲫᲘᲚᲐᲫᲔ,

თბილისის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ, ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲐᲓ...

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყანა განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპში შევიდა — დადგა დრო, გარდაქმნამ თავისი რეალური შედეგები რომ გვაჩვენოს, აქედან გამომდინარე კი სამომავლო სამოქმედო დავისახოთ. თქმა არ უნდა, ბევრი რამ შეიცვალა, დოგმატიზმისგან განთავისუფლებული ჩვენი აზროვნება სხვაგვარად აღიქვამს სამყაროს, მოვლენებს. როგორც პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი სკკ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 10 იანვრის მიმართვაში წერია, „ახლებურად ვუყურებთ წარსულს, აწმყოს და მომავალს, სხვაგვარად ვხედავთ მიზნებს და მათი მიღწევის გზებს“.

ისტორიამ დიდი მისია დაგვაკისრა — ვიყოთ პრაქტიკულად ახალი ეპოქის დამწყებნი, ეს მეტ-ნაკლებად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. „დღის წესრიგშია საბჭოთა მეცნიერების დაჩქარებული განვითარება“ — მიმართვაში ამგვარად ფორმულირებული ჩვენი ზოგადი მიზანი ერთი იმ გლობალურ ამოცანათაგანია, მნიშვნელოვანწილად რომ უნდა უზრუნველყოს ჩვენი ხვალინდელი დღე. ფუნდამენტურ გამოკვლევათა გაღრმავება, სოციალური და საბუნებისმეტყველო ცოდნის რეალური უკუგების ზრდა ჩვენი უპირველესი საზრუნავია.

მეოცე საუკუნე მეცნიერების არნახული გაქანების საუკუნეა. ამის გაუთვალისწინებლობა არ იქნება. დღეს ყოველგვარი პრობლემა ყველა დარგში, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, ეკოლოგია, მართვა, მეცნიერულად უნდა დამუშავდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს. ეს დროის მეტად სერიოზული მოთხოვნაა.

„გარდაქმნა ჩვენი ბედია, შანსია, რომელსაც ისტორია გვაძლევს“ — ნათქვამია მიმართვაში და ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ბოლომდე, სრულყოფილად არ გამოვიყენოთ იგი. მე ასე მესმის: ხელიდან არ უნდა გაუშვათ არანაირი (სულ უმცირესიც კი) შესაძლებლობა, რომლის მეოხებითაც მის განხორციელებას შეუუწყობთ ხელს. ახლა არის მომდგარი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები. თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი ხმა უნდა მივცეთ მხოლოდ და მხოლოდ ღირსეულ პრეტენდენტებს, მათ, ვისაც მთელი ნიგრძე-სიგანით გათვითცნობიერებული აქვთ ამ ჩვენი უალრესად რთული, მაგრამ საინტერესო ისტორიული მონაკვეთის მთელი მნიშვნელობა, გარდაქმნის ბეშმარიტი არსი და დანიშნულება, მათ ვინც აზროვნებს თამამად, პასუხისმგებლობით, მასშტაბურად. გარდაქმნას ასეთი ადამიანები ჭირდება დღეს.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲐᲜᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“

ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲒᲕᲘᲓᲒᲐ

თუ ვინმე იტყვის საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გავლონიერდითო — ზემოქედელებმა უნდა ვთქვათ.

ისიც ეშმარიტებაა, რომ თავკაცებში ბევრი გვწყალობდა. თუმცა მთელი საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მხოლოდ მეორე თავმჯდომარე გვყავს: პირველი — სახელოვანი კაცი ჩობელი იყო, ჯერ კიდევ კოლექტივიზაციამდე კომუნის დამაარსებელი. სოციალისტური შრომის გმირი არსენა კობაიძე მეორე თავმჯდომარეა. მას წინამორბედისგან ვამომუვა მოძმის სიყვარული, საქმის სიყვარული, სოფლის ერთგულება.

მიმდინარე ხუთწლედი ჩვენი სოფლისთვისაც საგანგებოა. 7 მილიონიდან დავიწყეთ და შარშან 9 მილიონი მანეთის პროდუქცია შევქმენით. ჩემი ბრიგადის ბიჭებმა თითოეულ ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლი გაპარსეს, გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის წარმოების გეგმა და 100 ნერბზე 97 ბატკანი მიიღეს. წლევანდელ დოლსაც კარგი პირი უჩანს.

მიმდინარე ხუთწლედი განსაკუთრებულია იმით, რომ სასურველი ეპოქა დაგვიდგა. საჯაროობამ და დემოკრატიამ გარჯაშიც გაგვიხსნა ხელ-ფეხი. დავამკვიდრეთ შრომის ახლებური ფორმები, როგორც საოჯახო, ისე ბრიგადული იჯარა. ამან ერთობ გაგვიმართლა, რამეთუ საქმეს ისე ვუდგებით, როგორც ვხედავთ და გვესმის.

პრესაში წავიკითხეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. რა თქმა უნდა, ეს მიმართვა თითოეულ ჩვენთაგანს ეკუთვნის. ჩვენი ვართ გარდაქმნის მონაწილენი და აი რა მინდოდა მეთქვა:

მარტში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რაკი ეპოქა საგანგებოა, ეს კამპანიაც განსაკუთრებულია.

ამ ხუთწლედში შევდექით გარდაქმნის გზაზე. იწყება საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლება. მიმართვაში ნათქვამია, რომ ჩვენთვის მთავარია, ყველაზე მწვავე — სასურსათო პრობლემის გადაჭრა. პარტია ამ ამბავს უკავშირებს სოფლის მშრომელის გარდაქმნას მიწის სრულუფლებიან პატრონად. ამასთანავე, სასიკეთოდ უნდა განვითარდეს სოფლის სოციალური სფერო. როგორც მიმართვიდან ვიგებთ, აგრეთვე, თანამედროვე აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის გზებს განიხილავს სკკ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმი. გვჯერა, რომ ეს იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი სოფლის განახლების გზაზე.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით დაიბადა გარდაქმნის იდეა. ამიტომ ჩვენმა საქმემ უნდა გაიმარჯვოს.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲧᲐᲛᲐᲚᲐᲘᲫᲔ,

წითელწყაროს რაიონის ზემო-ქედის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადირი.



ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ სესიები — ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი სტუდენტის ცხოვრებაში, სემესტრის მანძილზე ნასწავლ-შეთვისებულის განსჯა-შეფასების ჟამი!

ეს ფოტოსურათი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხეკურსელთა მორიგ გამოცდაზეა გადაღებული. მარინე ნაცვალაძემ და მაია გონაშვილმა ესეც არის აიღეს ბილეთები და პასუხისთვის ემზადებიან. მოლოდინის „ციებ-ცხელებამ“ გაიარა — ბილეთის ყველა კითხვა მათთვის კარგად არის ცნობილი. ბეჯითმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო და ახლა ქალიშვილები გონებაში საგზულდაგულოდ, აუჩქარებლად სწონიან თითოეულ სიტყვას.

სხვები კი მღელვარებით ელიან თავიანთ რიგს — გამოცდა მაინც გამოცდაა!

ᲗᲔᲝᲓᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“) ᲤᲝᲢᲝ.

ᲥᲐᲛᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡᲐ

ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ᲞᲣᲠᲘᲡ შემდეგ ხალხისათვის ყველაზე ძვირფასია სკოლა. ეს უბრალო აფორიზმი კი არა, ჭეშმარიტებაა. აქ არის ადამიანთა სულიერი სიმდიდრის, ზნეობრივ ღირებულებათა სათავეები, ორიენტირები. აქედან გამომდინარეობს დიდი ინტერესი პედაგოგის სოციალური სახისადმი. მას ხომ მინდობილი აქვს მომავალი — თაობა, რომელიც აქტიურად უნდა ჩაეპას გარდაქმნაში, მიიღოს ქვეყანაში დაწყებულ რევოლუციურ განახლებათა ესტაფეტა.

ამზადებს თუ არა მასწავლებელი ჩვენს ახალგაზრდობას სამერმისოდ?

იჩენს თუ არა იგი გულისხმიერებას ცხოვრების დინებისადმი? ეს კითხვები, რომლებმაც დღეს განსაკუთრებული პოლიტიკური აზრი შეიძინა, ყველაზე ხშირად გაისმოდა ქ. თბილისის სახალხო განათლების მუშაკთა ამას წინათ გამართულ სამ კრებაზე. ამ კრებებში სექციური წესით მონაწილეობდნენ: ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორები, მათი მოადგილეები აღმზრდელობითი მუშაობის ნაწილში, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებამეცოდნეობის მასწავლებლები, აგრეთვე რესპუბლიკის პარტიული და კომკავშირული ორგანოების, სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები. მათ რესპუბლიკური პოლიტგანათლების სახლში კონსტრუქციული, მწვავე, გულხდილი სკა-ბაასი ჰქონდათ.

პირველ კრებაზე საკითხთა განიხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო განათლების მინისტრი გ. ენუქიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ლაღიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. გოგიბერიძე, სახალხო განათლების საქალაქო სამმართველოს უფროსი კ. სუჯაშვილი, ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორი შ. ამონაშვილი, დირექტორები: № 18 სკოლისა — ს. წიკვარიძე, №1 სკოლისა — ლ. შეწირული, № 6 სკოლისა — მ. მინდაძე, № 148 სკოლისა — ლ. სერდიუკი, № 8 სკოლისა — ა. კვინაძე, № 189 სკოლისა — გ. აბრამია. № 66 სკოლისა — მ. ხაჩმიაშვილი, ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმისა — რ. მარკვილაძე, № 65 პროფტექნიკური სასწავლებლისა — დ. მახარაძე, პარტორგანიზაციათა მდივნები: № 89 სკოლისა — ვ. შარაშიძე, № 1 ექსპერიმენტული სკოლისა — ს. ვარდოსანიძე, № 51 სკოლისა — ა. ცუცქირიძე, სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმისა ლ. გეგეშიძე, ორჯონიკიძის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე ა. ვარაზაშვილი, № 132 სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ნ. ჭელიძე, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის რესპუბლიკური განყოფილების თავმჯდომარე ხ. ბერულავა, № 1 ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებელი მ. ისასარიძე.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი.

ორატორებმა გააანალიზეს საარსებო ამოცანები სახალხო განათლების მუშაკთა პირველი საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. საგნობრივი სკკ-ბაასი გაიმართა სკოლის რეფორმის რეალიზაციის, იმ შესაძლებლობათა შესახებ, რომ კიდევ უფრო განვითარდეს პედაგოგიური კოლექტივების თანამშრომლობა პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებთან მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის, მოქალაქეობრივი ჩამოყალიბების საქმეში, აქ არსებული ნაკლოვანებების, პრობლემების, მათი დაძლევის გზების თაობაზე.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა ძხარის განახლების პროცესი ღრმავდება და ფართოვდება, იძენს სულ უფრო შეუქცევად ხასიათს, ჩქარდება მისი ტემპი. და სკოლა, როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, არ უნდა ჩამორჩენოდეს მას.

იმ ცვლილებების შედეგად, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში შემოიტანა გარდაქმნამ, მკვეთრად გაიზარდა ახალგაზრდობის სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა. და ახალგაზრდა თაობის მისწრაფებას — პირადად წყვეტდეს რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა დარგში მოაწყვიტულ პრობლემებს, მხოლოდ უნდა მივესალმოთ და წაეახალისოთ, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ქალიშვილებისა და ჭაბუკების ენერგია და კეთილშობილური შემართება რეალურად ემსახურებოდეს ხალხის ნამდვილ ინტერესებს. მასწავლებლები უფრო ღრმად უნდა წვდებოდნენ მოზარდის შინაგან სამყაროს, ზრდიდნენ ზნეობრივად სრულფასოვან თაობას, მათ ხელი უნდა აიღონ დიდი ხნის დრომოჭმეულ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდებზე. ამავე დროს, როგორც კრებაზე აღინიშნა, გასული წლის ნოემბრის უკანასკნელ დეკადაში თბილისში მომხდარმა ცხონებულმა მოვლენებმა გააშიშვლა სერიოზული პრობლემები, რომლებიც სახალხო განათლების სისტემაშია.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘ ᲗᲝᲗᲘᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

● **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** „თეთრი სახლის ტერიტორიაზე ჩადებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა“, — ასეთი გაფრთხილება მიიღეს კავშირგაბმულობის ოპერატორებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რეზიდენციაში რამდენიმე წუთით ადრე, სანამ თეთრი სახლის ერთ-ერთ მინდორში რ. რეიგანის ვერტმფრენი დაჯდებოდა.

საიდუმლო სამსახურებმა სასწრაფო ღონისძიებები მიიღეს საგანგაშო სიგნალის შესამოწმებლად. სპეციალურად დაგეშილი ძაღლების მეშვეობით გულდასმით შეამოწმეს ტერიტორია. საიდუმლო სამსახურების მუშაობის შედეგების შესახებ ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან. პრეზიდენტის ვერტმფრინავი დანიშნულ დროს უვნებლად დაჯდა.

ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲯᲘᲓᲔᲑᲘᲡ „ᲠᲘᲙᲠᲣᲢᲝᲡ“ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ

● **ᲢᲝᲙᲘᲝ.** იაპონის სოციალისტური პარტია იბრძოლებს იმისათვის, რომ გულმოდგინედ გამოიძიონ „რიკრუტოს“ საქმე პარლამენტის მორიგი სხდომის დროს, რომელიც მუშაობას განაახლებს თებერვალში. ეს განაცხადა იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ კაკაკო დოიმ პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე. „რიკრუტოს“ კომპანიის გარშემო სკანდალი უკავშირდება გაგლენიანი მოღვაწეებისათვის შემცირებული ფასებით აქციების მიყიდვას, რომლებიც ფონდის ბირჟაზე რეგისტრაციის შემდეგ ხელახლა გაყიდეს უფრო ძვირად.

ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

● **ᲝᲢᲐᲕᲐ.** კანადელი მეცნიერები — ნევროპათოლოგი რობერტა ბონდარი და ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დარგის სპეციალისტი კენ მანი დაასახელეს კანდიდატებად ამერიკის „ბატლის“ ხომალდით საერთაშორისო კოსმოსურ ფრენაში მონაწილეობისათვის, რომელიც დაგეგმილია 1991 წლის თებერვლისათვის. ერთ-ერთი მათგანი იქნება კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის წევრი, რომელიც შედგება ხუთი ამერიკელი კოსმონავტისა და ორი მკვლევარისაგან — კანადელი სათანადო გამოიღო და ახლა ქალიშვილები გონებაში საგზულდაგულოდ, აუჩქარებლად სწონიან თითოეულ სიტყვას.

სხვები კი მღელვარებით ელიან თავიანთ რიგს — გამოცდა მაინც გამოცდაა!

ᲗᲔᲝᲓᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“) ᲤᲝᲢᲝ.

ᲥᲐᲛᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡᲐ

„რიკრუტოს“ კომპანიის გარშემო სკანდალი უკავშირდება გაგლენიანი მოღვაწეებისათვის შემცირებული ფასებით აქციების მიყიდვას, რომლებიც ფონდის ბირჟაზე რეგისტრაციის შემდეგ ხელახლა გაყიდეს უფრო ძვირად.

ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

● **ᲝᲢᲐᲕᲐ.** კანადელი მეცნიერები — ნევროპათოლოგი რობერტა ბონდარი და ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დარგის სპეციალისტი კენ მანი დაასახელეს კანდიდატებად ამერიკის „ბატლის“ ხომალდით საერთაშორისო კოსმოსურ ფრენაში მონაწილეობისათვის, რომელიც დაგეგმილია 1991 წლის თებერვლისათვის. ერთ-ერთი მათგანი იქნება კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის წევრი, რომელიც შედგება ხუთი ამერიკელი კოსმონავტისა და ორი მკვლევარისაგან — კანადელი სათანადო გამოიღო და ახლა ქალიშვილები გონებაში საგზულდაგულოდ, აუჩქარებლად სწონიან თითოეულ სიტყვას.

სხვები კი მღელვარებით ელიან თავიანთ რიგს — გამოცდა მაინც გამოცდაა!

ᲗᲔᲝᲓᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“) ᲤᲝᲢᲝ.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ სკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს გზები, თუ როგორ სრულყონ ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა დემოკრატიულ საფუძველზე, ახალი ეკონომიკური ურთიერთობის, კოოპერაციისა და ინტეგრაციის აქტიური განვითარების, სამეურნეო ანგარიშის ყოველმხრივი ათვისების პირობებში. თათბირზე მოწვეული იყვნენ პარტიის მთელი რიგი რაიონული, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური აგროსამრეწველო კომიტეტების თავმჯდომარენი, აგროკომბინატების გენერალური დირექტორები, აგროსამრეწველო გაერთიანებების, აგროფირმების, აგროსავაჭრო საწარმოების, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო სისტემების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი, საბჭოთა მეურნეობებისა და გადამმუშავებელი საწარმოების დირექტორები, აგრარიკოსი მეცნიერები, მოიჯარეები, აგრეთვე მთელი რიგი უწყება-სამინისტროთა მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ ვ. ს. მურახოვსკიმ.

განხილულ საკითხთა გამო აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ ვოლოგდის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ავრორას“ დირექტორი ნ. მ. პოდგორნოვი, ტულის ოლქის აგროსამრეწველო გაერთიანება „ნოვომოსკოვსკის“ თავმჯდომარე ვ. ა. სტაროდუბცევი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. ი. ლუკინოვი, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კ. გროსუ, მოსკოვის ოლქის აგროკომბინატ „რამენსკის“ გენერალური დირექტორი კ. ვ. კუზიკი, როსტოვის ოლქის მატვეევ-კურგანსკის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარე ვ. ა. გულოვი, ბელორუსის სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ი. მ. ჭუსაინოვი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ა. ტიხონოვი, ლატვის სსრ აგროსავაჭრო საბჭოთა მეურნეობა „ვიდმანტაის“ დირექტორი ვ. მ. რეფშასი, ალტაის მხარის აგროსამრეწველო გაერთიანება „სლავგოროდსკის“ საბჭოს თავმჯდომარე, სლავგოროდსკის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ა. ბეკეკი, საწარმოო სისტემა „სელის“ საბჭოს თავმჯდომარე, კალინინის ოლქის ტორჟოკის რაიონის კოლმეურნეობა „მშვიდობის“ თავმჯდომარე ნ. ი. პოპოვი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ნაზარბაევი, ლატვიის სსრ სახაგრომრეწვის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. ა. კალნინში, სტავროპოლის მხარის ბროლერების საწარმოო გაერთიანება „სტავროპოლსკის“ გენერალური დირექტორი ვ. ი. პოსტნიკოვი, როვნოს ოლქის აგროფირმა „ზარიას“ თავმჯდომარე ვ. ა. პლიუტინსკი, მოსკოვის ოლქის სტუპინოს რაიონის კოოპერატივ „შუგაროვოს“ თავმჯდომარე ვ. პ. ტრუბინი, რიაზანის ოლქის სასოფლის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ სარძეო-სასაქონლო ფერმის მოიჯარე კოლექტივის ხელმძღვანელი ნ. ი. კუჩერენკო.

დასასრულ გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ვოროტნიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ვ. მ. ჩებრიკოვი, ა. პ. ბირიუკოვა, ა. ვ. ვლასოვი, ა. ი. ლუკიანოვი, ი. დ. მასლიუკოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ფ. სოლოვიოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ო. დ. ბაკლანოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ს. ბელოუსოვი, ლ. ა. ვორონინი, ი. ს. სილაევი.

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება. (ᲡᲐᲙᲓᲘᲡᲘ).

პედაგოგის საპატიო წოდება

(დასასრული)

ორატორებმა პრინციპული შეფასება მისცეს თავიანთი კოლეგების მოქმედებას, რომლებიც თავად ამწყვეტდნენ იმ დღეებში ვითარებას სკოლებში ან ადგნენ ჩაურევლობის, მოვლენათა განვითარებისადმი პასიური. მეთვალყურის პოზიციას. ნაცვლად იმისა, რომ მიეხედათ ყველაზე შეგხებული, ავტორიტეტიანი მშობლები ეა მათთან ერთად ცდილიყვნენ, რომ მოსწავლეებს არ ჩაედინათ უგუნური საქციელი, ისინი განუდგნენ მიმდინარე მოვლენებს. მათ დაივიწყეს თავიანთი პირდაპირი მოვალეობა — მიეცათ მოსწავლეებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ნამდვილი ცოდნა, და არც კი ცდილან ახალგაზრდობისათვის გეკენთა ყოველივე იმის ნამდვილი არსი, რაც ხდებოდა.

მრავალი უბედურება სკოლის ცხოვრებაში, აღნიშნეს კრების მონაწილეებმა, იმის გამო მოხდა, რომ ჩვენ ყველამ ხელიდან გავუშვით სკოლის მართვის სადაკეები. და ამგვარი რეციდივები მომავალში რომ არ განმეორდეს, მუდამ უნდა ვაადგეთ აქტიურ პოზიციას, არ გვეშინოდეს პოლემიკის და თავს არ ვარიდებდეთ კამათს. ამავე დროს, მასწავლებელთა, სკოლების ხელმძღვანელთა მნიშვნელოვან ნაწილში, ისევე როგორც ზოგიერთ პარტიულ მუშაკმიც, თავი იჩინა მოძველებულმა, წლების განმავლობაში გამომუშავებულმა პირობითმა რეფლექსმა: იმოქმედონ მხოლოდ „ზემოდან“ კარნახით. ეს სენი დრამოკმული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების შედეგების რეციდივია. სწორედ მისი სიმპტომები გამოვლინდა მოსწავლეებთან გულახდილი, პრინციპული დისკუსიების წარმართვის უუნარობით, იმით, რომ მათ არც სურდათ და არც შეეძლოთ დაერწმუნებინათ ახალგაზრდობა, სწორად მოქალაქეობრივად და პარტიულად შეეფასებინათ ყველა მიმდინარე მოვლენა, გაბედულად ჩამოეგლიჯათ ნიღაბი დემაგოგებისა და დეზინფორმატორებისათვის.

ყოველივე ეს მწარე გაკვეთილია თითოეული ჩვენგანისათვის, ითქვა კრებაზე. მოსწავლეთა ბედთან თამაში არ უნდა განმეორდეს. ისინი არიან ჩვენი მომავალი, რესპუბლიკის, ქვეყნის ხვალინდელი დღე. არავის არა აქვს უფლება დემოკრატიზაციისა და საჯაროობის დამკვიდრებული ვითარებით ისარგებლოს და საფრთხეში ჩააგდოს ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

და პირიქით, ყოველნაირად უნდა წაეხალისოთ დემოკრატიზაცია სკოლაში, დირექტორებისა და მასწავლებლების არჩევითობის პრაქტიკა, სწავლების ჰუმანიზაცია, ახალგაზრდობისათვის სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, თავისი სულიერი პოტენციალის სრულად გამოვლენის მისწრაფება. ეს მოითხოვს საზოგადოებისა და სკოლის გაერთიანებულ ძალისხმევას, თითოეული მოსწავლის ზნეობრივი სახისათვის პირადი პასუხისმგებლობის გადიდებას. სამწუხაროდ, დღეს კიდევ მრავალად არიან ისეთი ადამიანები, ვინც ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. და რაოდენ საამწუხაროც უნდა იყოს, მათ შორის ბევრია პედაგოგი. ასეთი გარრება, ასეთი გაორებული ქორალი ორკეცად უზნეოა, როცა მას მასწავლებლები, სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები, პარტიული მუშაკები აყლეხენ. უარი უნდა ვთქვათ ორ უკიდურესობაზე, როცა ზოგიერთი მასწავლებელი, სკოლების დირექტორი ყველა არაორდინარულ სიტუაციაში ამოობინებს ან თვალი მოარიდოს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, ან კი პირიქით, აურზაურს ტეხს.

და მით უფრო საწყენია, აღინიშნა კრებაზე, რადგ პედაგოგების ნაწილმა მაინც ვერ გაარკვია ჯეროვნად თავისი დამოკიდებულება მომხდარისადმი. რა თქმა უნდა, პედაგოგიკაში არ უნდა იყოს მარტო საკუთარი აზრის მონოპოლია, ისევე როგორც მეტისმეტი კატეგორიულობა. მაგრამ დღეს არ არის იმაზე უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ის, რომ სკოლა შეჯმოვაბრუნოთ დღის რეალიებისაკენ, საარსებო პრობლემებისაკენ, რომელთაგან მთავარია ყოველმხრივ სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნების აღზრდა. თანამშრომლობის, უწინარეს ყოვლისა, მოსწავლეებთან თანამშრომლობის პედაგოგიკა ხელსაყრელ პირობებს უქმნის სასარგებლო დიალოგს, არგუმენტირებულ დისკუსიას, არსებულ პრობლემათა გადაჭრას. ეს დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ამ მუშაობაში მთავარია თვითონ მასწავლებელი იყოს ინფორმირებული და ახალგაზრდობას სიმართლეს ეუბნებოდეს. ჩვენ ვაღიარებთ, არ ვჩქმალავთ წარსულის შეცდომებს. მაგრამ ზოგიერთ პედაგოგს მხედველობის გარეშე რჩება რესპუბლიკაში, კავშირში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებები. მათი დაუნახაობა, საკუთარი აღსაზრდელებისათვის მათი უთქმელობა მიუტევებელია ყველა და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ პედაგოგიკის თვალსაზრისით.

სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე სახალხოდ დაიგმო წვრილმანი მეურვეობის, სწავლებასა და აღზრდაში ძკაცრი რეგლამენტაციის სისტემა. ამასთან ერთად, ისე როგორც არასდროს, წარმოჩინდა მასწავლებლის როლი. სკოლას, საზოგადოებას მარტო მცოდნე მასწავლებელი კი არ სჭირდება, არამედ თავის საქმეზე შეუყვარებული კაცი, ნოვატორი, მოძღვარი, რომელიც წრფელად და შემოქმედებითად ემსახურება თავის საქმეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: რესპუბლიკა, სადაც 116 ათასზე მეტი პედაგოგია, მუდმივად განიცდის ნამდვილი მასწავლებლის დეფიციტს. თავს იჩენს არასწორი საკადრო პოლიტიკაც. ახლა თბილისში მასწავლებლის დიპლომის მქონე 722 კაცი არ მუშაობს, კიდევ ათასი — ძირითადი სპეციალობით არ არის დასაქმებული. და ეს იმ დროს, როცა რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში იგრძნობა პედაგოგების მწვავე, ქრონიკული ნაკლებობა. არადა, ამ პრობლემის გადაჭრელად რეალური ნაბიჯები ჯერჯერობით არ იდგმება.

აქ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სათუთი დამოკიდებულება მასწავლებლობისადმი, აღინიშნა კრებაზე. იგი გულისხმობს მის საიმედო სოციალურ დაცვას. არ შეიძლება იმის მოთმენა, რომ პედაგოგი კუთხეს ქირაობდეს „ყეარძო სექტორში“. მონაცხოვრებდეს შეშას ზამთრისათვის. მომზიფდა იმის საზოგადოებრივი მოთხოვნილება, რომ შევიმუშაოთ სპეციალური კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა პედაგოგთა საკირბორატო პრობლემების გადაჭრას, იქნებოდა ზედმიწევნით რეალური, საჭირო საშუალებებით, რესურსებით გამაგრებული — ასეთი იყო შეკრებილთა საერთო აზრი.

ამ კრების მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. მახარაშვილი.

დედაენისა და მშობლიური ლიტერატურის სწავლების სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა მომდევნო კრება. კრებაზე გამოვიდნენ: საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე ნ. გურგენიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ჯორბენაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი კ. გაბაშვილი, ჟურნალ „ბალავრის“ რედაქტორი თ. კვაჭანტირაძე, მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის დირექტორი დ. თოდუა, მასწავლებლები: № 123 სკოლისა — ე. სურგულაძე, № 6 სკოლისა — გ. შურღულია. № 155 სკოლისა — მ. გელიაშვილი, № 61 სკოლისა — ი. გედეონიძე, № 53 სკოლისა — თ. ბურჯანაძე, № 116 სკოლისა — ნ. კოპალი, № 46 სკოლისა — დ. მუმლაძე, № 67 სკოლისა — რ. კვალიაშვილი; მეთოდისტები: სახალხო განათლების ლენინის რაიონის განყოფილებისა — ნ. ღონღაძე, მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტისა — ე. აფხაზავა, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მეთოდიკური ცენტრისა — ნ. რუხაძე, № 2 ექსპერიმენტული სკოლის დირექტორის მოადგილე ი. ჯიქია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის გამგე, პროფესორი გ. რამიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე.

როგორც შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, სკოლის სულიერი კრიზისი ბევრად განაპირობა სკოლაში ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლების დაბალმა დონემ. ეროვნული სკოლის კონცეფცია, რომელიც ამჟამად რესპუბლიკაში მუშავდება, ემყარება მოზარდი თაობის აღზრდას, უწინარეს ყოვლისა, იმ სულიერი ღირებულებებით, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა და ინახავდა ხალხი. ხოლო ენა ის რეალობაა, რომლითაც გამოიხატება ხალხის ცნობიერება, მისი ხასიათი, სული და შემოქმედება. დედაენა მოიცავს ხალხურ სიმღერას, ზღაპარს, პოემას, მეცნიერულ შრომას, ბიბლიასა და პოლიტიკურ რეფერატს. ლექსიკის მთელ ამ მრავალფეროვან შინაარსთან ზიარება იძლევა ულომესი სულიერების გარანტიას.

ამიტომ შემთხვევეთი როდი არის, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრომ თავის პირველსავე კოლეგიაზე განიხილა რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შემუშავდა ქართული ენის შესწავლისა და გამოყენების სახელმწიფო პროგრამის პროექტი. გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებათა კომპლექსი ამ დარგში არსებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად.

ამასთან დაკავშირებით მწვავედ დგას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავების, სახელმძღვანელოების, თვალსაჩინო დამხმარე საშუალებების შედგენის აუცილებლობა. სპეციალისტი მეცნიერებისა და პრაქტიკოსი პედაგოგების შემოქმედებითი ჯგუფები მუშაობენ მათ შექმნაზე.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია არანაირად არ შელახავს საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების ეროვნულ ინტერესებს. არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების სრულყოფის შესაბამისად მაღლდება ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების დონე. გარდა ამისა, მუშავდება აფხაზურ და ოსურ ენებთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამების პროექტები.

ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის, ეთიკისა და ფსიქოლოგიის შესწავლასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები იქნა განხილული მუშაობის მესამე დღეს. შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი რ. მეტრეველი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ვ. მერკვილაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი თ. შავგულიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ნადირაშვილი, მასწავლებლები: № 31 სკოლისა — ლ. თოფურია, № 47 სკოლისა — მ. შეყრილაძე, № 115 სკოლისა — მ. გორგაძე, № 121 სკოლისა — გ. პორტნიაგინა, № 18 სკოლისა — დ. გამცემლიძე, № 61 სკოლისა — ნ. გვილავა, № 25 სკოლისა — ა. ჯანგულაშვილი, № 1 სკოლისა — თ. ქაფიანიძე და ლ. კიკალეიშვილი, № 5 სკოლისა — ს. გოგელია, № 107 სკოლისა — მ. ქობულია, № 30 სკოლისა — მ. ნაცვალაძე, № 55 სკოლისა — ვ. ჩიქოვანი, № 2 ექსპერიმენტული სკოლისა — რ. დემეტრაშვილი; დირექტორები № 151 სკოლისა — ხ. ნარჩემაშვილი, № 114 სკოლისა — ლ. გამყრელიძე, მეთოდისტები: მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტისა — ლ. ჯავახიშვილი, სახალხო განათლების პირველი მაისის რაიონის განყოფილებისა — კ. თოფურია, სახალხო განათლების ლენინის რაიონის განყოფილებისა — ვ. პრიხოდკო, № 23 სკოლისა — ლ. მურუსიძე, ნ. ფოფხაძე.

აღინიშნა, რომ სკოლებში გაიზარდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის საათები. ხოლო იმ სასწავლებლებში, სადაც ეს საგნები არ ისწავლება, მალე შემოღებული იქნება მათი ზოგადი კურსი.

სწავლების ჰუმანიზაციას უშუალოდ უკავშირდება განათლების ჰუმანიზაცია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი სიახლე: სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში დაიწყება რელიგიის ისტორიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორიის, ხელოვნების ისტორიისა და ეკოლოგიის შესწავლა. სხვათა შორის, აქ მოსულ პედაგოგებს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ: მათ დაურიგდათ ახლახან გამოცემული საქართველოს ისტორიის ლამაზად გაფორმებული სახელმძღვანელოები მე-8-9 კლასებისათვის.

ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სწავლების შინაარსის თქისებრივ გარდაქმნასთან ერთად საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს მასწავლებელსა და მოსწავლის ურთიერთობის ხასიათიც. გაკვეთილების დროს რაც შეიძლება მეტი აყურადღება უნდა დაეთმოს სწავლების აქტიურ შესაძლებლობებს, კერძოდ, — საუბრის დიალოგურ ფორმებს. საწყენია, მაგრამ ფაქტია: დღევანდლამდე არ დამუშავებულა აქტიური სწავლების მეთოდიკური პრობლემები. ამ თვალსაზრისით არასაკმარისი ღონისძიებები. ხოლო ეს ლოგიკურია, თუ არ ჩავთვლით ოლიმპიადებისა და სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების ჩატარებას, რომლებიც, ამასთან, ზოგჯერ ფორმალიზმით და მეტისმეტი ორგანიზებულობით გამორჩევა.

განვლილმა კრებებმა დაადასტურა, რომ მასწავლებლებმა, დირექტორებმა, სახალხო განათლების ყოველმა მუშაკმა სკოლის ცხოვრებას უნდა შესძინონ ახალი სუნთქვა, დაამკვიდრონ აქ ცოდნისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფერო, განუვითარონ მოსწავლეებს რეალისტური ცნობიერება, აღზარდონ ხვალინდელი, მცოდნე სპეციალისტები, მოქალაქეები. ხაზგასმით ითქვა, რომ სკოლა დღევანდელი საზოგადოების უბრალო ასლი კი არ არის, არამედ მომავლის მოქანდაკეა. (სპეციფორმი).





სურათებზე: თბილისის მეტროპოლიტენის ახალი მეტროსადგურები „დავით გურამიშვილი“ (ზემოთ) და „ახმეტელის თეატრი“.
სიმონ კილაძის („კომუნისტი“) ფოტო.

რადიკალური რეფორმა

რა ჯდება მეტროპოლიტენით მგზავრობა?

ხუთწლედის მეოთხე, გადამწყვეტ წელს თბილისის მეტროპოლიტენს ორი ახალი სადგური — „დავით გურამიშვილი“ და „ახმეტელის თეატრი“ მიემატა. გლდანისა და მუხიანის მიკრორაიონების მცხოვრებნი შვებით ამოისუნთქავენ, კომფორტული და სწრაფი ტრანსპორტი მათ დიდ დროს მოაგებინებს.

აქვე დავძენთ, რომ ბოლო წლებში მეტროპოლიტენი გადაჭარბებით ასრულებს მგზავრთა გადაყვანის გეგმებს, ეაქსიმალურად იყენებს სავაგონო პარკის შესაძლებლობებს, იცავს შემადგენლობის მოძრაობის გრაფიკს. მიუხედავად ამისა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მეტროპოლიტენში ყველაფერი რიგზეა. პირიქით, გადასაწყვეტი პრობლემები ბევრია.

რა ჯდება მეტროპოლიტენით მგზავრობა?

იქნებ გაიკვირვოთ ეს კითხვა. სწორიც ბრძანდებით, ამ ტრანსპორტით სარგებლობისათვის ხომ თითოეული ჩვენგანი ხუთ კაპიკს იხდის. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ სწორია ისიც, რომ თვით მეტროპოლიტენს ერთი კაცის გადაყვანა 7,7 კაპიკი უჯდება. ხოლო „დავით გურამიშვილისა“ და „ახმეტელის თეატრის“ სადგურების საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მგზავრობის საფასური 9,8 კაპიკს მიაღწევს, ესე იგი დაჯდება თოთმეის ორჯერ მეტი, ვიდრე ვიხდით.

ასეთი შეუსაბამობა უმძიმეს ტვირთად აწევება ტრანსპორტს, რომელიც პირველი იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადავიდა. ხუთწლედის მესამე წელი თბილისის მეტროპოლიტენმა 5.800 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა. შემდეგში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ციფრი კვლავ გაიზრდება.

რატომ არის წამგებიანი ტრანსპორტი, რომელსაც მგზავრი არ აკლია და ყოველთვის გადატვირთულია?

ამ კითხვაზე ერთბაშად ვერ უპასუხებ. მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ დღიდან მეტროპოლიტენის ამოქმედებისა, ესე იგი 22 წლის მანძილზე, სამგზავრო დაწესებულ ხუთ კაპიკს, რომ იტყვიან, კაპიკიც არ მიმატებია. სამაგიეროდ, საგრძნობლად გაძვირდა ელექტროენერგია, სათბობი, საშენი მასალები, მოძრავი შემადგენლობა. ამჟამად მეტროპოლიტენის ერთი ძველი სერიის ვაგონი 100 ათასამდე მანეთი ღირს, მაგრამ ახალი ვაგონი (რომელიც ჯერ თბილისს არ მიუღია) 250 ათასი მანეთი დაჯდებათ.

არავინ ამტკიცებს თითქოს ჩვენი მეტროპოლიტენი ოდესმე „დიდმომგებიანი ყოფილიყოს, მაგრამ ერთ დროს მაინც დასახა წამგებიანობის მკვეთრი შემცირების ტენდენცია. ეს გახლავთ 1967-1978 წლები, როდესაც ზარალი 1729 ათასი მანეთიდან 183 ათასამდე შემცირდა. მიაქციეთ ყურადღება: 1966 წლის იანვარში, როცა პირველი 6,3 კილომეტრიანი ხაზი გაიხსნა, მეტროპოლიტენს დღე-ღამეში საშუალოდ მხოლოდ 59 ათასი კაცი გადაყავდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. 1988 წლის დამლევისათვის მეტროპოლიტენის საერთო სიგრძემ თავისი 19 სადგურით, 22,9 კილომეტრი შეადგინა და მისი სიკეთით დღე-ღამეში სამხელოდ უკვე 450 ათასი, ხოლო ცალკეულ დღეებში 600 ათასი ადამიანი სარგებლობდა. მეტროპოლიტენის წლიდან მოდის ქალაქის ყველა სახეობის ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა ნაკადის 36 პროცენტი. ამ მაჩვენებელის მიხედვით ჩვენი მეტროპოლიტენი მხოლოდ მოსკოვისას ჩამოუვარდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ფინანსური მდგომარეობა უარესდება.

არადა, როგორც ზემოთ ითქვა, 1978 წლამდე ფინანსების მხრივ საქმე წინ მიიწევდა და სულ მალე თითქოს ყველაფერი თავის კალაპოტში უნდა ჩამდგარიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მომდევნო წლისათვის, „ვაგზლის მოედანი“ — „დელისი“ 6,2-კილომეტრიანი ხაზის ამოქმედების შემდეგ, საექსპლოატაციო დანახარჯები მთელი 2,9 მილიონი მანეთით, შემოსავალი კი მხოლოდ 1,1 მილიონი მანეთით გაიზარდა. ზარალიანობის გადიდებას ხელი შეუწყო აგრეთვე ამ პერიოდისათვის ელექტროენერგიაზე და მასალებზე საბითუმო ფასების მომატებამ, რამაც თავის მხრივ საექსპლოატაციოდ გადაცემა უშველის. იმიტომ, რომ მგზავრთა ნაკადის ზრდა ძირითადად მანძილის ზრდის ხარჯზე ხდება. 1980 წელს, მაგალითად, ხუთ კაპიკად კაცი საშუალოდ ოთხ კილომეტრის მანძილზე მგზავრობდა, დღეს კი ამ ფასად 6,2 კილომეტრს გადის. როგორც ცნობილია, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობაში წამგებიანი დარგი არ უნდა არსებობდეს და ამიტომ ამ თანხას მეტროპოლიტენს გადაუფარავს სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის სამინისტრო-ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიც იგი შედის, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. რკინიგზის სამინისტროს ფული ციდან არ უცვივა.

რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად? მდგომარეობის შედარებით გამოსწორებისათვის. საჭიროა მაქსიმალურად შემცირდეს, ან მოლიანად გაუქმდეს მეტროპოლიტენის პარალელურად მოძრავი საქალაქო ტრანსპორტის სახეობანი და გამოვიყენოთ იქ, სადაც საჭიროა. ისინი კი საჭიროა ბევრგან და ამაზე რედაქციაში შემოსული წერილებიც მეტყველებენ.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ უფასოდ მგზავრობის უფლება უნდა ჩამოერთვას ყველას, რაც შემოსავალს 300 ათას მანეთამდე გაზრდიდა. მათ შორის, ცხადია, არ იგულისხმება პერსონალური პენსიონერები, ომის ინვალიდები, მაგრამ სხვა დარგების მუშაკებს, რომლებიც ამ შეღავათებით სარგებლობენ, სამგზავრო ბილეთები შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა შეუძინონ. 100 ათას. მანეთამდე გაზრდიდა წლიურ შემოსავალს ფული დამხურდავებელ მოლარეთა შტატების გაუქმებაც, მთელი 600 ათასი მანეთით შემცირდებოდა ზარალიანობა, თუ მეტროპოლიტენის მილიციის შესანახ თანხებს თვით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიღებდა.

ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ აქვს სამინისტროს ამის საშუალება? ხომ არ გამოვიდოდა ისე, რომ ფული სახელმწიფოს ერთი ჯიბიდან მეორეში გადავიდოდა?

არის ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქების სხვა რეზერვებიც, მხოლოდ მათ გამოვლენა და გამოყენება უნდა. ეს გარდა ზემოთნათქვამისა, უკავშირდება მტკვარზე გადებულ ახალ ხიდს, რომლის პირველი რიგის მშენებლობა ახალი წლის წინა დღეებში დამთავრდა. იგი დიდი დიდმის მსივნე გლდანისა და თემქის დასახლებებს დაუკავშირებს. დიდი დიდმიდან ავტობუსით წამოყვანილი მგზავრები ამ ხიდის გავლით მეტროპოლიტენის ნაკლებად გადატვირთულ სადგურ „დავით გურამიშვილამდე“ მოვიდოდნენ და აქედან განაგრძობდნენ გზას. ამ საქმის მოგვარება შესამჩნევად გაზრდიდა შემოსავალს.

პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტას, მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლებას, ხელს შეუწყობს აგრეთვე რკინიგზის გადასასვლელი ხიდის მშენებლობის დროული დამთავრება. იგი მეტროპოლიტენის სადგურ „ელექტროდეპოსთან“ შეაერთებს წერეთლის პროსპექტის იმ უბანს, სადაც სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება და სახალხო მეურნეობის წყალმოწევათა გამოფენაა განლაგებული. ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონოს გადასასვლელი ხიდის შენებლობის დროული დამთავრებისათვის.

ქალაქშვილი, რომელმაც მითხრა მეტროპოლიტენი დაბერდაო, 21-22 წლისა თუ იქნებოდა. მისი ტოლები ჩვენი მეტროპოლიტენის დაბადებასთან ერთად მოვლენენ ქვეყანას. მათ, ცხადია, ვერ წარმოუდგენიათ უმეტროპოლიტენო თბილისი, მათთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

უფროს თაობას კი კარგად ახსოვს მის გახსნასთან დაკავშირებული დიდი სიხარული და ზეიმი, საყოველთაო დღესასწაულები. მაშინ, ალბათ, ყველა თბილელმა და მისმა სტუმარმა იმგზავრა ამ ტრანსპორტით და სიამაყით აევსო გული. სიამაყით თუნდაც იმისათვის, რომ იმ დროისათვის თბილისი მეოთხე ქალაქი იყო მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის შემდეგ, რომელსაც საკუთარი მეტროპოლეტენი ჰქონდა. დიან, სიხარულის დღეები გვახსენდება, მაგრამ თანდათან გვავიწყდება ის, რომ რუსთაველის მოედნიდან ღრმაღლეტამდე ავტობუსით (უფრო ხშირად ფეხმეტ დგომით) 1,5-2 საათი ვმგზავრობდით, ისიც იშვიათად. გვახსენდება, რა დიდხანს მიჩანჩალებდა ტრამვაი ნავთლუღამდე და ა. შ.

ყველაფერ ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ ბოლო დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მეტროპოლიტენის განვითარებისადმი ყურადღება ცოტა მოდუნდა. ალბ, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ჯერაც არ არსებობს ხაზის მშენებლობის პროექტი დიდი დიმის დასახლებამდე — მიკრორაიონამდე, სადაც ასიათასობით ადამიანი იცხოვრებს? სადგურ „ლენინის მოედნის“ მეორე ამოსასვლელი უნდა აშენდეს კოლმეურნეობის მოედანზე, მაგრამ საამისო სახსრები არა აქვთ და სეიფში ინახება პროექტი, რომლის განხორციელებასაც 4 მილიონი მანეთი ჭირდება. მეორე გამოსასვლელის მშენებლობა „გლდანის“ სადგურშიც დაპროექტდა და კარგია, რომ მისი მშენებლობა მაინც დაიწყო.

რატომ არ უნდა იღებდნენ წილობრივ მონაწილეობას მეტროპოლიტენის განვითარებაში ქალაქის ის სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა მუშაკებიც სარგებლობენ ამ ტრანსპორტით? როდის უნდა გამოიკვეთოს ქალაქის საბჭოს როლი მეტროპოლიტენისადმი? ალბ, წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობა შეიქმნება საქალაქო ტრანსპორტზე ერთი დღით რომ შეფერხდეს მეტროპოლიტენის მუშაობა. რით გინდა გადაიყვანო ნახევარი მილიონი ადამიანი?

ახლა, როცა სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა მოიპოვეს რეალური ხელისუფლება და ფინანსური საშუალებები, ყოველმხრივ უნდა დაეხმაროთ მეტროპოლიტენს. სხვათა შორის, მეტროპოლიტენის სადგურების ახლომახლო ტერიტორიებზე წესრიგსა და სისუფთავეს სწორედ ქალაქის რაიონული საბჭოები უნდა უზრუნველყოფდნენ. თუ ვინმეს ჭირდება მეტროპოლიტენი ეს, უპირველესად, ითქმის თბილისზე, მის თავისებურ რელიეფზე და განლაგებაზე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მეტროპოლიტენი საქალაქო ტრანსპორტის უდიდესი შემადგენელი ნაწილია, მასზეა დამოკიდებული დიდი ქალაქის ცხოვრება. სატრანსპორტო პრობლემას თბილისში უმეტროპოლიტენოდ ვერ გადაეჭრით.

არავის ეგონოს, რომ სამეურნეო ანგარიშზე დაკავშირებით მარტო თბილისის მეტროპოლიტენის წინაშე წამოიჭრა ასეთი რთული პრობლემები, არა, ზოგიერთებს საქმე უფრო ცუდად აქვთ. ტაშკენტის მეტროპოლიტენს მგზავრის გადაყვანა 10 კაპიკი, ხოლო ნოვოსიბირსკისა და გორკის მეტროპოლიტენებს 15 კაპიკი უჯდებათ. ერევნის მეტროპოლიტენს კი მნიშვნელოვნად მეტი — 22 კაპიკი.

ყველას წინაშე დგას მომგებიანობის ზრდის ურთულესი პრობლემა და გრძელდება საამისო გზების ძიება. რაიმე ახალი და ორიგინალური ამ მხრივ ჯერ არავის შემოუთავაზებია.

სხვათაშორის, საბჭოთა კავშირის მეტროპოლიტენები 1975 წლამდე 14,2 მილიონი მანეთის მოგებას იძლეოდნენ წელიწადში, მაგრამ როგორც აღინიშნა, მასალებისა და ენერგიის გაძვირების გამო წამგებიანობამ ქვეყანაში, საეურნეო ანგარიშზე გადასვლის წინ, 75 მილიონ მანეთს გადაჭარბა. გასაგებია, რომ ასეთი ვითარება აბრკოლებს მეტროპოლიტენის მუშაკთა სოციალური ბაზის განვითარებას, რის გამოც იზრდება კადრების დენადობა და, აქედან გამომდინარე, უარესდება მგზავრთა მომსახურების ხარისხი. მარტო თბილისის მეტროპოლიტენს დღეს 200 კაცი არ ყოფნის.

ერთ საგაზეთო წერილში მეტროპოლიტენთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას ვერ შეეხები, მაგრამ ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით, გავაუქმებთ ინტერნაციონალური კოლექტივის ცხოვრების ყველა მხარეს.

ზოთა ამაშუკელი.

მთავარი კრიტერიუმია პრაქტიკული საქმეები

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, გარდაქმნისა და განახლებისათვის ბრძოლაში საზოგადოების მთელი ძალების კონსოლიდაციის ნიშნით გრძელდება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ახლანდელი საარჩევნო კამპანია, რომელიც XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის სულისკვეთებით მიმდინარეობს, აქტიურად აბამს ადამიანებს პოლიტიკურ პროცესში, აყალიბებს ისეთ დეპუტატთა კორპუსს, რომელიც ღირსეულად, ქმედითად დაიცავს ხალხის ინტერესებს. როგორც პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაშია აღნაშნული, გარდაქმნა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს წარმატებული, როცა მისი მთავარი მომქმედი პირი ხდება ადამიანი.

თავიანთ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასახელებენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. ესენი არიან ყველაზე ავტორიტეტიანი ადამიანები, პრინციპული, რომლებსაც სწამთ, რომ საჭიროა რეფორმაციული ცვლილებანი, ისინი, ვინც არა მოწოდებებითა და ლოზუნგებით, არამედ კონკრეტული პრაქტიკული საქმეებით სწევენ წინ გარდაქმნას. და სავსებით ბუნებრივია, რომ მათ შორის არცთუ ცოტაა საკავშირო პარტკონფერენციის დელეგატი.

ნახევარ წელზე ცოტა მეტი ხანი გავიდა იმ სკკპ კონფერენციიდან, რომელიც სამუდამოდ დამამახსოვრდა ნათელა ბუთხუზს, მისი შრომიანი კოლექტივის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციამდე, რომელზეც იგი დაასახელეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატად. მთელი ამ ხნის მანძილზე კასპის რაიონის ოკომის საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს არ განელვია ქვეყნის კომუნისტთა ფორუმზე მიღებული შთაბეჭდილება. აზრებს, რომლებიც გაეჩნდა პარტკონფერენციის შემდეგ, რეალურად ესხმება ხორცი არა მარტო მისი ბრიგადის, არამედ მეურნეობის მთელი კოლექტივის საქმეებში

თბილისი — მცხეთა: მეზობლობა თუ ერთიანობა?

ეს წერილი დიდი ხნის წინ ტრიბუნამ ამბავმა შეა: რეს-პუბლიკის მოსარჩლის დიალოგი „დინამიკურებული უფლებები“ სწავლობენ სოფლის მცხეთიდან, ჯვრის ძირში გაშლილი სამხედრო ნაწილის გადაადგილების შესახებ. ბრძოლები ამიტომ ვიმეორეთ, რომ ჩვენში არ გვიგულია, ამ აქციით დაინტერესებული უფლება თუ პიროვნება. ეთნოლიულების განმავლობაში ყველას გვაწუხებდა ქართული კულტურის სიმბოლოდ ქცეული მცხეთის ჯვრის ბედისწერის ამგვარი გამოყენება. რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, შესაბამის დაწესებულებებს არაერთგზის მიუმართავთ ამაზე ყურადღება. უკანასკნელად საქართველოს სასამართლო, ბოლოთა დაცვის მთავარმა სამმართველომ და მცხეთის რაიონმასკომმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სათანადო პეტიციით სამი წლის წინ მიმართეს. სამხედრო ოლქის იმყოფინდელი ხელმძღვანელობის საპასუხო პირობები მიუღებელი აღმოჩნდა და პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

ახლა სულ სხვა ამბავია. სამხედრო უწყება კორექტულ დიალოგშია ჩაბმული; საქმე სრულიად კონკრეტულ მონახაზს იძენს — ლაპარაკია არა პრინციპზე, არამედ სამხედრო ნაწილისათვის ტოლფასი ადგილის გამოყოფაზე, ობიექტების მშენებლობაზე და ამ ოპერაციის ღირებულებაზე. ალბათ, ეს ორმხრივ გამარჯვებაა — ჩვენი კულტურის და სამხედრო უწყებისაც, რომლის ბუნებრივად აუცილებლობაზე კარგა ხანია წერს საკავშირო პრესა.

სამხედრო ნაწილის გაყვანის ტექნიკურ მხარეებს ვერ შევეხებით, მხოლოდ გამოვთქვამთ იმედს, რომ რესპუბლიკა შეძლებს მათს გადაწყვეტას, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველგვარი მონაწილეობით. ახლა სხვა რამეზე უნდა ვიმსჯელოთ.

სამხედროების განცხადებით, მას შემდეგ, რაც აიგება სანაცვლო სათავსოები, ორი თვის ვადაში ტერიტორია გამონთავისუფლებული იქნება. ამიტომაც, სანამ დრო, ჩვენს თავს მივმართოთ პირუთვნელი კითხვებით: რა გარემო დავახვედრეთ დღევანდელობას მცხეთის ჯვრის შემოგარენში ჩვენ თვითონ? რა შეცდომები გვაქვს დაშვებული? როგორ გამოვასწოროთ გამოსასწორებელი? და ბოლოს, რა ქალაქგეგმარების პროგრამას ვახვედრებთ ამ ზონაში ხვალინდელ დღეს?

შემთხვევით არ გავუსვამ ხაზი ქალაქგეგმარების პროგრამას. შესაძლოა, რესპუბლიკაში სხვაგანაც არის ასეთივე უნებართვო მშენებლობები, არქიტექტურული ლაფსუსი თუ ადმინისტრაციული განუკითხობა — მოკლედ რომ ვთქვათ, ქალაქმშენებლობითი დისციპლინის ტოტალური დარღვევა. მაგრამ აქ, ამ ზონაში, თბილისსა და მცხეთას შორის, ეს არა მარტო არქიტექტურულად, არამედ ისტორიულად დაუშვებელია. შევეცდებით ავხსნათ, რატომ.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ქართულ კულტურაში მცხეთის ჯვრის უპირატეს ადგილს განსაზღვრავს არა მხოლოდ მისი, როგორც ნაგებობის საკუთრივ არქიტექტურულ-მხატვრული ღირსებები, არამედ ადგილმდებარეობაც, როგორც იტყვიან, ლანდშაფტის ორგანიზაციის ბრწყინვალედ განჭვრეტილი უნარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ძეგლი ისტორიულად ჩამოყალიბებული ლანდშაფტის გარეშე წარმოუდგენელია. იგივე გარემოება, თავის მხრივ, ლანდშაფტსაც უყენებს სრულიად გარკვეულ და საკმაოდ მკაცრ პირობებს.

სხვათა შორის (თუ ამაზე შეიძლება სხვათაშორის ლაპარაკი), მცხეთის ჯვარი, ერთადერთი ქართული კულტურის ძეგლებს შორის, სულ ახლახან წარდგენილია ე. წ. „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ შესატანად. ამ ნუსხას ადგენს ძეგლთა, მემორიალთა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო კომიტეტი; ეს კომიტეტი საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს არა მარტო თვით ძეგლებს, არამედ მათს შემოგარენს, ანტურაჟს. გასაგები მიზეზების გამო მცხეთის ჯვრისათვის დღემდე ვერ ხერხდებოდა სრულფასოვანი დაცვის ზონების დადგენა. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, თუკი გვინდა შევინარჩუნოთ მცხეთის ჯვრის ჰარმონია გარემოსთან, სანამ არ დაგვიანებულა, მკაცრად უნდა გადავხედოთ მის გარემომცველ ტერიტორიას, ერთიანად გავიაზრ ,ი ამ ზონის საბოლოო სახე.

უნდა ვიფიქროთ: დღეს ჯვრის მიდამოები სათანადოდ გაანალიზებული არ არის. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ სწორედ ეს ტერიტორია წარმოადგენს „ბუფერულ ზონას“ მცხეთასა და თბილისს შორის. ორივე ქალაქი აქაურობას გარეუბნად მიიჩნევს; გარეუბნისათვის ჩვეული ყველა სამწუხარო შედეგიც თვალნათლივია: სამრეწველო ობიექტები, საქმიანი ეზოები, სასაწყობო მეურნეობები, ავტოსატრანსპორტო კანტორები და ყოველივე ეს უსისტემოდ განლაგებული.

სამართლიანობა მოითხოვს იმაზედაც ითქვას, თუ რა უწყებრივ შემოტევებს გადაურჩა ეს ზონა მათი წყალობით, ვინც თავის პროფესიულ და პატრიოტულ მისიას არც „მაშინ“ არ მიჯნავდა ერთმანეთისაგან. ისინი რომ არა, ამ ადგილებზე თვალი ეჭირათ მძლავრი სარკინიგზო კვანძის დამბოლოქტებლებს, გიგანტური თბოელექტროსადგურის მშენებლობის მსურველთ და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ ვინმეს. პარადოქსია, მაგრამ თავისი მხოლოდ მეცნიერებმა გაიტანეს — და დარჩა წინდაუხედაობის ძეგლად სოფელ მუხათგვერდის მეზობლად აღმართული კომპლექსი, ყოველდღიურობაში ხალხი „რეაქტორს“ რომ უწოდებს...

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ მხოლოდ ცალკეული უწყებებისა და მათი ხელმძღვანელების გამტყუნებას — ამ შემთხვევაში გარემოს გადაგვარებას გაცილებით ღრმა მიზეზები აქვს, ვიდრე უწყებრივი თავნებობა. ყოველივე ეს შედეგია მთელი ჩვენი ქალაქგეგმარების იმ ხელშეშვებული სენისა, რომელიც მრავალ ათწლეულს ითვლის და რომლის იდეური ბაზისი ნებისმიერი პრობლემისადმი ისევ და ისევ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მიდგომაში უნდა ვეძიოთ.

ეს მტკიცება საჭიროებს მოკლე ექსკურსს სამამულო ქალაქმშენებლობის ისტორიაში. გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ყალიბდებოდა საბჭოთა ქალაქგეგმარების პრინციპები. ეს იყო აღამიანის ბუნებაზე „გამარჯვების“ ყალბი აპოთეოზის ხანა (ბუნებაზე არა ვიწრო, კონკრეტული გაგებით, არამედ ნებისმიერი მოვლენისა თუ პროცესის ბუნებაზე, არსზე). „ახლის“ პათოსმა სძლია ანალიზ-ტურის თეორიული უზრუნველყოფის ჩამორჩენილობის გამო; შესაძლოა, ჩვენში ქალაქური კულტურის ძლიერი ტრადიციების უქონლობის მიზეზითაც. ალბათ ამიტომაც არის, რომ „ოიცულობითი“ არქიტექტურისაგან განსხვავებით, ჩვენ ვერ დავიკვეხნით ჩამოყალიბებული ქალაქგეგმარებითი სკოლის არსებობას, რის გარეშეც, სიტყვის სრული მნიშვნელობით, თანამედროვე საზოგადოების ღირსეული ცხოვრებადება საერთოდ წარმოუდგენელია.

ასე თუ ისე, საბჭოთის ქალაქები მაინც განაგრძობენ და ახლაც განაგრძობენ ზრდა-განვითარებას, ერთმანეთისაკენ ლტოლვას შინაგანი, ობიექტური კანონებისდა მიხედვით. უცხოეთში ამ ბუნებრივ პროცესს ქალაქების აგლომერირებას უწოდებენ, ხოლო თვით ამ თანაქალაქედს — აგლომერაციებს. როდესაც ამ პროცესების დაუნახავობა შეუძლებელი გახდა, სასწრაფოდ შემუშავდა ე. წ. „დასახლებათა ჯგუფურ სისტემათა“ თეორია, რომელიც არსებითად, მაგრამ პალიატიური ფორმით სცნობდა ქალაქების აგლომერირების გარდაუვალობას.

ისტორიული პარალელები ამ შემთხვევაშიც საშიშია, მაგრამ როგორ გინდა, ვერ დაინახო თბილისის აგლომერაციის, იგივე „დიდი თბილისის“ ანალოგი ჩვენი ძველი დედაქალაქის ისეთს ფუნქციურ-სივრცითს ფორმაში, როგორიცაა არქეოლოგების მიერ გამოვლენილი და შესწავლილი „დიდი მცხეთა“ — დიახ, არა განმარტებული მცხეთა, არამედ თავისი გაშლილი, დიფერენცირებული დაბა-უბნებით, მაგრამ ერთიანი, მჩქეფარე საქალაქო ცხოვრებით.

ახლა, თუ ქალაქგეგმარების თეორიისა და ისტორიის წიაღიდან ჩვენს თვალწინ მიმდინარე ცხოვრებას დავუბრუნდებთ, უნდა ვალიაროთ, რომ თბილისის ირგვლივ უკვე ყალიბდება სწორედ აგლომერაციული სახის საქალაქო წარმონაქმნი. დღეს ამ წარმონაქმნის ფუნქციონირებას დაკვირვებული კაცი ყოველგვარი მეცნიერული მეთოდების გარეშეც ასეთ ფარგლებში შეიგრძნობს: რუსთავი-თბილისი-მცხეთა. ჩვენი ახლანდელი მიზანი თბილის-მცხეთას თანაარსებობის პრობლემის განხილვა გახლავთ.

სპეციალისტის პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გამოსავალი აქ ერთადერთია — მთელი თბილისის აგლომერაცია, კერძოდ, თბილის-მცხეთის კონურბაცია ერთიან ქალაქთმშენებლობის სისტემად უნდა გავიაზროთ. ასეთ მიდგომას კარგა ხანია მისდევს სხვა, რომ იტყვიან, მომიჯავე დარგები — ეკონომგეოგრაფია იქნება ეს თუ საინჟინრო დისციპლინები. მართლაც, აშკარა უაზრობა იქნებოდა ცალ-ცალკე გაგვეხილა ამ ქალაქების, დავუშვათ, კანალიზაცია ან სატრანსპორტო მომსახურება. მაგრამ დაგეგმვისა და მართვის ის წარმმართველი, ზეუფყებრივი სფერო, რომელმაც თავი უნდა მოუყაროს ყველა სხვა დარგის პრობლემატიკას — ქალაქგეგმარება — ობიექტური მოვლენებისაგან განზე დგას.

სულ ახლახან მიღებულია მეტად საჭირო, გონიერი (თუმცა-ღა მოგვიანო!) გადაწყვეტილება: გადახალისდეს, გადაისინჯოს ჩვენი დედაქალაქის გენერალური გეგმა. საჭიროა, აუცილებელია კიდევ ერთი თამამი ნაბიჯიც გადადგა: ეს სამუშაო უნდა წარიმართოს მთელი თბილისის აგლომერაციის ფარგლებში, მასში თავმოყრილი ქალაქების თავისებურებებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.

უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით მცხეთამ თბილისს გაასწრო. რამდენიმე წელია, რაც ქალაქ-მუზეუმ მცხეთისათვის მუშავდება საფუძვლიანი, თანამედროვე მოთხოვნილებებზე დაყრდნობილი ქალაქგეგმარებითი პროგრამა. საჭიროა, და ამის შესახებ კიდეც ითქვა საქართველოს სსრ სახმშენში ამას წინათ ჩატარებულ თათბირზე, რომ ამგვარმა პროგრამამ დეტალური დაგეგმარების პროექტის სახით მოიცვას მთელი ეს ბუფერული ზონა — ზაჰესის დასახლება, სოფელი მუხათგვერდი, კარსანის, მცხეთის ჯვრის მიდამოები, ქალაქ მცხეთის განვითარებადი ჩრდილოეთი ნაწილი. ურიგო არ იქნებოდა, რომ სათანადო განხილვებისა და აპრობაციის შემდეგ გაზეთის მკითხველიც გაცნობოდა მცხეთაში ჩასატარებელი სამუშაოების პროექტს. ამის აუცილებლობას იმაშიც ვხედავთ, რომ მცხეთა და მისი შემოგარენი სწორედ ის გარემოა, სადაც გადამწყვეტი სიტყვაც და ვეტოს უფლებაც მხოლოდ და მხოლოდ სამეში ჩახედულ არქიტექტორს უნდა ეკუთვნოდეს.

ვინაიდან, როგორც ჩანს, ყოველივე, რაც აქ ითქვა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის დაინტერესებული მსჯელობის საგანი გახდება, შემოგთავაზებთ ერთ მოსაზრებასაც, რომელიც ჯერ კიდევ 1981 წელს განსახლების სისტემათა ექსპერტმა, არქიტექტურის კანდიდატმა პ. ძიძიგურიმ და მასთან ერთად ამ წერილის ავტორმა გამოთქვით სპეციალურ ლიტერატურაში.

საქმე ის გახლავთ, რომ ბუნებრივი ზრდა-განვითარებისა, აგლომერირების პროცესში ყველა საქალაქო წარმონაქმნი, და მათ შორის მცხეთა-თბილისიც, ადრე თუ გვიან იგრძნობს ხისტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის არტახებს. მართალია, ეს აზრი გამოითქვა და დასაბუთდა კიდეც, მაგრამ თუ თქმულის გამგონი სჭირდება, დამწერს — წამკითხავი. რაკი ასეთი მაშინ არ გამოჩნდა, ახლა ამ წინადადებას გავიმეორებთ — ისევ ამ წერილში დასმული მთავარი ამოცანის კონტექსტად.

ქალაქ მცხეთისა და მცხეთის რაიონის პირაპირი მდებარეობა თბილისის აგლომერაციასა და შიდა ქართლს შორის ითხოვს მთელ რიგ გარდაქმნებს — როგორც ქალაქთმშენებლურ-დაგეგმარებითი, ასევე ადმინისტრაციულ-მმართველობითი თვალსაზრისით. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ დიდი კულტურულ-სარეკრეაციო ფასეულობისა და ტევადობის მქონე მცხეთის რაიონზე მზარდ ქმედებას ახდენს მთელი თბილისის აგლომერაცია, ხოლო ქალაქ მცხეთაზე — აგლომერაციის ცენტრი— თბილისი. თბილისის აგლომერაციის ჩამოყალიბების პროცესში ქალაქ მცხეთის მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ მცხეთა აგლომერაციის პერიფერიული ელემენტი კი არა — მისი სპეციალიზებული ისტორიულ-არქიტექტურული ცენტრი ხდება. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თბილისისა და მცხეთის სტრუქტურულ-გეგმარებითს ერთობას არსებითად უწყობს ხელს ქ. მცხეთის ექსცენტრული კიდური მდებარეობა მისი ადმინისტრაციული რაიონის მიმართ; მცხეთის განაშენიანება თითქმის ეკვრის თბილისისას. ქალაქ-მუზეუმის განსაკუთრებული რეჟიმი განაპირობებს რაიონული მნიშვნელობის ობიექტების გატანას ისტორიული ზონის გარეთ, მეზობელი კასპის რაიონის მიმართულებით.

რაც შეეხება მცხეთის რაიონს, აქ შეიძლება, გამოიყოს მისი ორი, პრინციპულად განსხვავებული ნაწილი. ის ნაწილი, რომელიც ქ. თბილისის საგარეუბნო-სარეკრეაციო ზონას (ცხვარიჭამია და სხვა) წარმოადგენს, უშუალოდ უნდა ჩაერთოს დედაქალაქის გეგმარებითს სტრუქტურაში. რაიონის მეორე ნაწილი კი აშკარად გამოსახული სასოფლო-სამეურნეო პროფილისაა, სამეურნეო სპეციალიზაციით ის კასპის რაიონს მისდევს და ამდენად უპრიანია მისი მიერთება კასპის რაიონთან. სხვა რომ არაფერი, მცხეთის რაიონის ეს ორი ნაწილი სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულს, ან როგორც იტყოდნენ, ქვეყანას ეკუთვნის — თბილისის ქვაბულსა და შიდა ქართლს.

ზოგი რამ, ამ წერილში, ალბათ, უჩვეულოა, ზოგიც— საკამათო. კამათი, აზრების დაპირისპირება აჯილდოებს ამ სამავლის საქმეა. ახლა ასეთი კითხვით მივმართოთ ერთმანეთს: გვეყოფა კი ამ შემთხვევაში მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ გადავლახოთ უწყებრივი, ან სულაც პირადი ინტერესები, არ ავამოქმედოთ „ტელეფონის სამართალი“, სპეციალისტებს გადავუწყვეტინოთ მცხეთის ჯვრის ფართე არეალის ყოველი კვადრატული მეტრის ბედ-იღბალი?

მცხეთა, ჩვენი კულტურის დედაბოძი, იმსახურებს იმას, რომ დღეს მოვეკეთ მას ისე, როგორც ეკადრება არა მარტო წარსულის მოტრფიალე, არამედ ღირსეულ, თანამედროვე ერს.

ვლადიმერ ვარდოსანიძე,
არქიტექტურის კანდიდატი, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უროსის მოადგილე.

რა ენა წაიღეს, ერიც დაეცეს

ჩვენ კომპიუტერიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ

„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტში, ფიქრობთ არასრულად არის წარმოდგენილი რესპუბლიკის კომპიუტერიზაციის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების (ინფორმაციული, ტექნიკური, პროგრამული უზრუნველყოფის) გაქართულენოვნების საკითხი.

ყველასათვის ცნობილია, რომ კომპიუტერი სულ უფრო ფართოდ იჭრება ადამიანის საქმიანობაში — მეცნიერების ყველა დარგში, ტექნიკაში, პრეწველობაში, კულტურულ საქმიანობაში, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში.

აქედან გამომდინარე, თუ რესპუბლიკაში სასწრაფოდ არ შეიქმნა პირობები კომპიუტერებთან ქართულ ენაზე ურთიერთობისათვის, იქნება საშიშროება იმისა, რომ ქართული ენა სრულყოფილად ვერ განვითარდება ადამიანის საქმიანობის სულ უფრო ფართოდ მომცველი ამ დარგის განვითარების შესაბამისად.

თუ გავითვალისწინებთ გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის აღნიშნულ განსხვავებას მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დანარჩენი დარგისაგან, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს გარემოება ქართულ ენას უქმნის მხოლოდ სალიტერატურო და სამეუნეო ენად გადაქცევის საფრთხეს.

ვითვალისწინებთ რა ზემოთ აღნიშნულ გარემოებას, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ VII თავში პირველი სამი პუნქტის ნაცვლად, რომლებიც კომპიუტერიზაციის გაქართულენოვნების ვიწრო პრობლემებს ეხება, შეიტანოთ შემდეგი პუნქტი:

„შემუშავებულ იქნეს რესპუბლიკის კომპიუტერიზაციის პრობლემებთან დაკავშირებული საქმიანობის გაქართულენოვნების ფართო პროგრამა და დაეკვალოს ამ პროგრამაში გამოყოფილ შემსრულებელ სახელმწიფო ორგანოებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს პროგრამის უცილობელი შესრულება დადგენილ ვადებში.

რესპუბლიკის კომპიუტერიზაციის პრობლემებთან დაკავშირებული საქმიანობის გაქართულენოვნების პროგრამის შემუშავება დაეკვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მეცნიერებათა აკადემიას და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 3 თვის ვადაში“.

ნოდარ ავალლობელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **გრიგოლ ჩოგოვაძე,** ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **შურაბ ხარაბიშვილი,** კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ნიკოლოზ ვასაძე,** გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ბინდია სალუქვაძე,** მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **რამაზ საკანდელიძე,** სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორი; **ლერი გიბინეიშვილი,** ავტომატიზებული სისტემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი; **ილია ფირაძე,** საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის დირექტორი; **კონსტანტინე დოლაძე,** საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის დირექტორის მოადგილე; **ზურაბ ჟიშიანი,** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური დარგობრივი გამოთვლითი ცენტრის მთავარი ინჟინერი.

დიდი პროგრამის რეალიზაციის ... ალბათობა

ჰ. კოლი გზრ-სსრ კავშირის ურთიერთობის ... ანალიზ

ბონი. როგორც უფრანსლისტებთან საუბრისას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. კოლმა განაცხადა, მოსკოვში მისი ვიზიტის დროს დადებულ მრავალ შეთანხმებას ამუამად კონკრეტული შინაარსი მიენიჭა. მე ოპტიმისტურად ვუყურებ მათს განხორციელებას და მიმაჩნია, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის კონსოლიდაცია.

ორივე მხარე თანახმაა, რომ ახლა გვმართებს სოლიდური მეცადინეობა ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების გზით. ძალზე საჭიროა აგრეთვე განვამტკიცოთ ნდობა ქვეყნებს შორის.

მ. ს. გორბაჩოვის მომავალი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლის შედეგადაც შეიქმნება ერთობლივი პოლიტიკური დოკუმენტი, ახალ თავს ჩაწერს საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის ისტორიაში, აღნიშნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა. დარწმუნებული ვარ, რომ მომდინარე წლის დამლევისადგის ჩვენ დიდ პროგრესს მივაღწევთ ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ყველა სფეროს მიზედვით, იქნება ეს ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, გარემოს დაცვის საქმეში თანამოქმედება თუ კულტურული და ახალგაზრდული გაცვლა.

● თურქეთი-სსრ კავშირი

„ტრანსბოსფორი“ — პირველი ერთობლივი კომპანია

სტამბოლი. აქ უკვე მოქმედებს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში პირველი სააქციო კომპანია „ტრანსბოსფორი“, რომლის აქციონერები არიან საკავშირო საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „სოვფრახტი“ და თურქეთის ფირმები, რომლებიც „ბუმერანგის“ ჯგუფში შედიან. კომპანია მოეწესახურება საბჭოთა გემებს, რომლებიც თურქეთის ნავსადგურებში შევლენ,. აგრეთვე ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს გაივლიან.

„ერთობლივი კომპანიის შექმნის საჭიროება, —თქვა პრესკონფერენციაზე „ტრანსბოსფორის“ გენერალურმა დირექტორმა უ. მ. აბასოვმა, — შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აუზებში ტვირთზიდვის და მგზავრთა გადაყვანის მნიშვნელოვანმა მოცულობამ განაპირობა. ყოველწლიურად თურქეთის ნავსადგურებში 1200-ზე მეტ საბჭოთა გემს ამუშავებენ ბოსფორის სრუტეში გადის 8-10 ათასი „საბჭოთა ალმიანი გემი“. ერთობლივი კომპანიის საქმიანობა მიზნად ისახავს საბჭოთა გემების დამუშავების გაუმჯობესებას, ნავსადგურებში დგომის შემცირებას, თქვა მან.

„ტრანსბოსფორის“ შექმნა მოწმობს ჩვენი ქვეყნების მისწრაფებას განავითაროონ და გააფართოონ ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში,— თქვა საკავშირო „ორესპონდენტთან საუბარში თურქეთის ფირმის „ბუმერანგის“ მეთაურმა არიშ ერთენმა. — ერთობლივი კომპანიის შექმნისას ორივე ქვეყანა უწინარესად საჭმის კომერციულ მხარეს ითვალისწინებდა. მაგრამ საგულისხმოა სხვა რამეც: „ტრანსბოსფორი“. რომელიც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს საზღვაო ტრასებით აკავშირებს, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს.

● ფრი-ლანგა

საგანგებო წესები გაუქმდა

კოლომბო. ფრი-ლანკის პრეზიდენტმა რანასინღმე პრემადასამ გამოაცხადა რომ ქვეყანაში გაუქმებულია საგანგებო წესები. ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პრეზიდენტი „ითვალისწინებდა ვითარების გაუმჯობესებას“.

ქვეყანაში საგანგებო წესები შემოიღეს 1983 წლის მაისში კუნძულის სინგალ და თამილ მოსახლეობაში ეთნიკური კონფლიქტის გამწვავების შემდეგ. მას შემდეგ იგი რეგულარულად ყოველ თვეში ხანგრძლივდებოდა ხუთნახევარი წლის განმავლობაში.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

პრეტორიის რეჟიმის გადანყვეტილება

ლუანდა. სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებამ მათ მიერ ოკუპირებულ ნამიბიაში გააჩაღეს ახალი კამპანია სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიული ძალების შესაგროვებლად, რომლებიც შეკოწიწებულია ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

როგორც ნამიბიის საინფორმაციო სააგენტო ნამპა იუწყება, პრეტორიის რეჟიმი აპირებს შეაიარაღოს 3 ათასზე მეტი აფრიკელი, რომლებმაც უკვე ამ კვირაში უნდა დაიწყონ „სამხედრო მომზადება“. ხელისუფალთა გადაწყვეტილება განაგრძონ ახალწვეულთა შეგროვება, აღნიშნავს სააგენტო, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეგმას ნამიბიის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ამ ტერიტორიაზე ყველა მსგავსი ფორმირების დათხოვნას.

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია გმობს საოკუპაციო რეჟიმის ამ ნაბიჯს, ნათქვამია ცნობაში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალთა მოქმედება იწვევს ეჭვს, რომ გულწრფელი იყო მათი განცხადებანი ნამიბიის დეკოლონიზაციის შესახებ უშიშროების საბჭოს 435-ე რეზოლუციის შესრულების საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მზადყოფნის თაობაზე.

ეკოლოგია

რას გვიქადის „სათბურის ეფექტი“

ინსტიტუტი „უორლდუოტჩი“ ატმოსფეროს გლობალური დათბობის შესახებ

ვაშინგტონი. შარშანდელი ზაფხულის რეკორდული სიცხე და უძლიერესი გვალვა ამერიკის შეერთებულ შტატებში — ეს არის მაუწყებელი გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემებისა, რომლებიც გამოიწვია დედამიწის ატმოსფეროს დაწყებულმა გლობალურმა დათბობამ. ეს გაფრთხილება გააკეთა „უორლდუოტჩის“ ინსტიტუტმა. „ფაქტობრივად საფრთხე ექმნება პირობებს, რომლებიც აუცილებელია სიცოცხლის არსებობისათვის იმ სახით, როგორითაც მას ვიცნობთ, — აღნიშნულია ინსტიტუტის ეურნალ „უორლდუოტჩში“. „სათბურის ეფექტისაგან“ პოტენციური ზარალი უტოლდება ბირთვული ომის შედეგებს“.

მსოფლიო სოფლის მეურნეობა, მეცნიერთა აზრით, შეიძლება გახდეს ატმოსფეროს დათბობის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი. „შესაძლოა უკვე 1990-იან წლებში გაბშირებულმა გვალვებმა შეარყიოს სურსათის წარმოება მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივები გაცილებით უფრო საშიშია“, წერს „უორლდუოტჩი“ და აღნიშნავს, რომ მრავალ ხალხს შიმშილი მოელის. გასული ზაფხულის გვალვის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველად მოიწიეს იმაზე ნაკლები მარცვლეული, რაც აუცილებელია ქვეყანაში მოხმარებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, მარშან მოწეულია 191 მილიონი ტონა მოსავალი (ჩვეულებრივ იგი 300 მილიონ ტონას აღემატება), მაგრამ ამერიკელები მოიხმარენ 202 მილიონ ტონა მარცვლეულს. 11 მილიონ ტონა დანაკლისს დაფარავენ წინა ორი წლის მოსავლისაგან დარჩენილი მარაგიდან. წლეულს გვალვის განმეორებას შეიძლება მოჰყვეს მარცვლეულის მსოფლიო დეფიციტი, რადგანაც ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა მარცვლეულის უდიდესი მსოფლიო ექსპორტიორები არიან. „უორლდუოტჩი“ აღნიშნავს, რომ მეცნიერთა მონაცემებით, სულ რამდენიმე გრადუსით ატმოსფეროს ტემპერატურის მომატებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება დედამიწისათვის, რადგან ეს გამოიწვევს მთელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ასობით კილომეტრი კლიმატური ზონების გადაადგილებას.

„საკითხი ახლა ის როდია, რომ შევაჩეროთ გლობალური დათბობა: ახლანდელი თაობის სიცოცხლეში ეს შეუძლებელია. საჭიროა დაუყოვნებლივ შევანელოთ გაზების წარმოება, რომლებიც „სათბურის ეფექტს“ იწვევს, რათა თავიდან ავიცილოთ კლიმატის ყველაზე მოულოდნელი და კატასტროფული ცვლილებანი“, — აღნიშნავენ „უორლდუოტჩის“ მეცნიერები. ამ ამოცანის განხორციელება კი, მათი აზრით, სავსებით შეიძლება, ოღონდ იგი საერთაშორისო ძალისხმევას მოითხოვს. უწინარეს ყოვლისა მკვეთრად უნდა შევამციროთ საწვავი წიაღისეულის მოხმარება და გადავიდეთ ალტერნატივული საზრდოების სათბობზე — ეს არის მზის, ქარის, თერმული წყლების, ატომის ენერგია, გავზარდოთ ენერგიის გამოყენების ეფექტიანობა. გარდა ამისა, საჭიროა ყველაზე სასწრაფო ღონისძიებანი ტყეების, განსაკუთრებით ტროპიკული ტყეების, გაჩეხვის შეწყვეტისა და მათი აღდგენისათვის.

● ... ალბანეთი

... ალბანეთ-ბულგარეთ ... ეკონომიკური ... ალბანეთ-ბულგარეთ ... ეკონომიკური ... ალბანეთ-ბულგარეთ ... ეკონომიკური

კანონზომიერი წარმატება

● **შარშან**, დეკემბერში ისრაელში მიწვეული იყო „ერთი მსახიობის თეატრი“. რეს კუბლიკის სახალხო არტისტის კოტე მახარაძის ხელმძღვანელობით.

თეატრთან ერთად იყო უფრანალ „საბგოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი **ნოდარ ბურანანიძე**, „კოსუნიტის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კიბოსგით მიმართა მას.

● **რამ განაპირობა სწორედ „ერთი მსახიობის თეატრის“ მიწვევა ისრაელში?**

— მართლაც უცნაური ფაქტია: ორიოდე წელია, რაც ეს თეატრი შეიქმნა და მან უკვე გამართა თავისი პირველი საზღვარგარეთული გასტროლი და ისიც ისრაელში, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით დიპლომატიური ურთიერთობაც კი არა აქვს. მხოლოდ ეს ერთი კერძო ფაქტიც კი ადასტურებს ახალი პოლიტიკური აზროვნების სიკეთესა და აუცილებლობას. როგორც თქვენი გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია, კოტე მახარაძემ, კრიტიკოს აკაკი ბაქრაძესთან ერთად, შექმნა ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია „რაც მტრობას დაუნგრეია“, სადაც დიდის დრამატიზმით და დამაჯერებლობითაა ნაჩვენები ილია ჭავჭავაძის ცხოვრების, მისი მოღვაწეობის, მისი მისწრაფებებისა და აზრთა მოძრაობის ფრიად დამაფიქრებელი და ემოციურად ამაღელვებელი სურათი. მთელი საღამოს მანძილზე სულგანაბული მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალყურს მსახიობ კოტე მახარაძის ჭეშმარიტად მსახიობურ გმირობას. ეს არის არტისტიზმისა და მოქალაქეობრივი პათოსის ბედნიერი შერწყმა. მსახიობი დიდი ოსტატობით, სიტყვის ჭეშმარიტად არტისტული ფლობით გვიხატავს გენიალური ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ, სპეკტაკლი მაყურებელში ამძაფრებს პატრიოტულ, ეროვნულ გრძნობებს, თავისი დრამატიზმით ემოციურად სძრავს მის შინაგან ბუნებას.

სწორედ იმხანად თბილისში იმყოფებოდა ეფრაიმ გური (გურიელაშვილი), მაშინ ჯერ მხოლოდ ქნესეთის (პარლამენტის) დეპუტატობის კანდიდატი. იგი დაესწრო ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლს, რამაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. აქვე შეიტყო, რომ კ. მახარაძე შესანიშნავ ლიტერატორთან და ბრწყინვალე მთარგმნელთან — ჯემალ აჯიაშვილთან ერთად ამზადებდა ახალ დადგმას „ებრაულ თემაზე“ და დაუყოვნებლივ მიიწვია თეატრი, აგრეთვე, სოფიკო ჭიაურელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნოდარ ჯანბერიძე, ჯემალ აჯიაშვილი, გურამ ბათიაშვილი ისრაელში, თეატრალური და შემოქმედებითი საღამოების გასამართავად.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის გიგა ლორთქიფანიძის დიდი ხელშეწყობით ჩვენი დელეგაცია თითქმის დაუბრკოლებლად გაემგზავრა თელ-ავივს.

ისრაელში ჩასვლისას ჩვენი მასპინძელი ეფრაიმ გური უკვე ქნესეთის დეპუტატის რანგში დაგვიხვდა.

ჩასვლისთანავე სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა. ბენ გურიონის საერთაშორისო აეროპორტის ვრცელი დარბაზის შუაგულში იდგა უზარმაზარი მენორა-ხანუქია, ანუ შვიდშანდლიანი სასანთლე. მილეული იყო დიდი დღესასწაულის ხანუქის მესამე დღე და დგებოდა მეოთხე დღე. მენორას მიღმა ტელეოპერატორთა, რადიოსა და გაზეთების კორესპონდენტთა არმია იდგა. ხანუქიის შანდლებში სამი სანთელი ეხთო, მეოთხე სანთლის (დღესასწაულის მეოთხე დღის სიმბოლო) ანთების პატივი კოტე მახარაძეს არგუნეს. ეს რიტუალი მთელს ისრაელში გადაიცა და ამან, ბუნებრივია, ქვეყანას მოჰფინა ქართველ მსახიობთა ჩამოსვლის ამბავი.

როგორც იქნა გამოვაღწიეთ დამხვდურთა და რეპორტიორთა წრეს და თავი სამშვიდობოს გასული რომ გვეგონა, აქ მოხდა საოცრება. აეროპორტის მოედანი გაჭედილი შეიქნა ქართველი ებრაელებით, რომლებიც ტაშითა და კეთილი შეძახილებით მიესალმებოდნენ საქართველოდან „ამოსულთა“. ამას კი არ ველოდით, რადგან თვითმფრინავმა სამი საათით დაიგვიანა და აქ კი გადაუღებლად წვიმდა.

● **უშუალოდ ქართველ მსახიობთა გამოსვლაზე რას გვეტყოდით?**

— კ. მახარაძისა და ს. ჭიაურელის შემოქმედებითი საღამოები ისრაელის ათ ქალაქში გიმართა და ისრაელის ქართველ ებრაელთა შორის ცხოველი ინტერესი აღძრა. ყოველი საღამოს დაწყების წინ, კ. მახარაძის წინადადებით, დარბაზში შეკრებილი საზოგადოება ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივს მიაგებდა სომხეთში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთ.

კ. მახარაძე ამ საღამოებზე წარმოადგენდა თავისი მომავალი სპექტაკლის ერთ მონაკვეთსაც, რომელიც მთლიანი კომპოზიციის ორგანული ნაწილი იყო. თვით მსახიობის თქმით, მას სურდა მოესინჯა მაყურებლის რეაქცია ზოგიერთ მონაკვეთზე, მანამ ვიდრე მთლიანად სპექტაკლს გამართავდა ჰაიფაში. პირველი საღამო შედგა ხულონში — თელ-ავივის „თანამგზავრ“ ქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ იმ საღამოს დანიმშული იყო ებრაელთა სათაყვანებელი „მაკაბისა“ და „ბარსელონას“ საკალათბურთო მატჩი, რასაც ენთო აუწერელი აკიოტაჟი ახლდა („შავ ბაზარზე“ ბილეთი 200 დოლარი ღირდა) დარბაზში უამრავმა ქართველმა ებრაელმა მოიყარა თავი. უცხოეთში მრავალგზის შევსწრებივარ, რომ ქართველ მსახიობთა სპექტაკლის შემდეგ სპონტანურად ფეხზე წამოჭრილ მაყურებელს მხურვალე ოვაცია გუმართავს, მაგრამ არ მინახავს, რომ შუა სპექტაკლზე ფეხზე ამდგარიყოს მაყურებელი. კ. მახარაძეს არც კი ჰქონდა დამთავრებული თავისი მომავალი სპექტაკლის ფრაგმენტის კითხვა, რომ თვალცრემლიანი, შეძრული და მაღლიერი მაყურებელი ფეხზე ადგომითა და ოვაციით შეეგება მსახიობს.

ამ გასტროლების ჭეშმარიტი აკორდი იყო ჰაიფაში გამართული კ. მახარაძის უკვე სრული სპექტაკლი — „გამოიღვიძე, ქნარო!“. სპექტაკლი გაიმართა საგამოფენო დარბაზში. აქ თავი მოიყარა ქართველ ებრაელთა რჩეულმა ინტელიგენციამ — მწერლებმა, მხატვრებმა, ჟურნალისტებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა. ეს იყო სპექტაკლის პრემიერა, რამაც განსაკუთრებით ასიამოვნა იქაური ქართველი ებრაელობა.

● **კიდევ რით იყო მდიდარი თქვენი „პროგრამა“?**

— ჩვენი იქ ყოფნის ყოველი დღე კი არა, ყოველი საათი, ყოველი წუთი გათვლილი იყო. უამრავი ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრა გვქონდა. თელ-ავივის მუნიციპალიტეტში, მაგალითად, მოწვეული იყო ქალაქის მთელი ინტელექტუალური ელიტა — თეატრი „ჰაბიმას“ ფ[illegible] „კამერული თეატრის“ რეჟისორ[illegible] [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...